

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოქმედების ორწლიანი გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არამართო თვალნათლივ წარმოეჩინა მასში არსებული ხარვეზები და მთელი რიგი რელაქციული უზუსტობანი, არამედ დაესვა რეგლამენტის ცალკეული ნორმების ხელახალი გადახედვის საკითხი. აღნიშნულმა კი დღის წესრიგში დააყენა რეგლამენტის მეტნაკლებად ძირეული გადასინჯვა და მასში იმ სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც უფრო ქმედითსა და ნაყოფიერს გახდიდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. ეს შეეხება რეგლამენტის სხვადასხვა ნორმებს, კერძოდ: უმაღლესი საბჭოს სუბიექტებსა და მათ უფლებამოსილებებს, უმაღლესი საბჭოს მუშაობის წესს, საკანონმდებლო პროცესსა და ა.შ.

სწორედ აღნიშნული დაედო საფუძვლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე პროექტში.

როგორც ცნობილია, უმაღლესი საბჭოს მიერ ხდება უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება, თუმცა ეს პროცედურა პირდაპირ არ არის აღნიშნული რეგლამენტში. ამის გამო რეგლამენტის მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტში ჩაიწერება, რომ უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება.

პროექტით ზუსტდება კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს პროექტის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, რეგლამენტის 32-ე მუხლში დეტალურად გაიწერება კომიტეტის აპარატის შემადგენლობა და მათი უფლებამოსილებანი.

რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომები იმართება ყოველ ორშაბათს, ხოლო არასასესიო პერიოდში საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. წარმოდგენილი პროექტით ბიუროს სხდომები, როგორც წესი გაიმართება ორშაბათობით, ხოლო არასასესიო პერიოდში მხოლოდ საჭიროებისამებრ და არა თვეში ერთხელ მაინც.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საკანონმდებლო პროცესის თავმა. უპირველეს ყოვლისა დაზუსტდა საკანონმდებლო პროცესის არსი. კერძოდ, იგი გულისხმობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, უმაღლეს საბჭოში წარდგენას, უმაღლესი საბჭოს მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, მთავრობის თავმჯდომარისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, მთავრობის თავმჯდომარის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს უმაღლეს საბჭოს მიღებული კანონპროექტი, უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე მთავრობის თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას. სიახლეა ასევე ისიც, რომ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის (ან სხვა აქტის პროექტის) განხილვის დაწყებისას სხდომათა დარბაზში მომხსენებლის ან/და თანამომხსენებლის არყოფნის შემთხვევაში კანონპროექტი (ან სხვა აქტის პროექტი) იხსნება პლენარული სხდომის იმ კვირის დღის წესრიგიდან და გადადის მომდევნო პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

წარმოდგენილი პროექტით ხდება ასევე რეგლამენტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა. პროექტით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრეს ემატება მთავრობა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი. განმარტებითი ბარათი უნდა

მოიცავდეს კანონპროექტის შესახებ აუცილებელ და ამომწურავ ინფორმაციას, თუ რაში მდგომარეობს კანონპროექტის მიღების მიზანი და მიზეზი, აქვე უნდა იყოს აღნიშნული თუ რა საფინანსო-ეკონომიკური შედეგი მოჰყვება მის მიღებას. როგორც განვლილმა პრაქტიკამ დაგვანახა აღნიშნულ დოკუმენტთან უყურადღებო დამოკიდებულებამ თავის მხრივ ასახვა ჰპოვა კანონპროექტის შემდგომ ხარისხზე. როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ აუცილებელია დეტალურად იქნეს ჩამოყალიბებული ის საკვალდებულო ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს გამარტებითი ბარათი. სწორედ აღნიშნულს ემსახურება პროექტის მე-11 პუნქტი.

ამასთანავე, დეტალურადაა გაწერილი მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის, უმაღლესი საბჭოს წევრის, კომიტეტის, ფრაქციისა და 2000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე მომხსენებლისა და თანამომხსენებლის დანიშვნის წესიც.

როგორც ცნობილია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ითვალისწინებს 2000 ამომრჩევლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის წარდგენის შესაძლებლობას, თუმცა რეგლამენტში არაა გაწერილი თუ როგორი წესით უნდა მოხდეს ამომრჩეველთა მიერ აღნიშნული უფლების განხორციელება. წარმოდგენილი პროექტის მე-19 პუნქტით რეგლამენტს ემატება XIX¹ თავი, რომლის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში აღნიშნული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება და ამომრჩეველთა მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გარანტირებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

პროექტის შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება რეგლამენტის XXI თავი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და დამტკიცება“, რომლის მიზანია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ურთიერთობების ახლებურად დარეგულირება და დღეს მოქმედი რეგლამენტის გარკვეული კოლიზიური ნორმების საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის წესისა და პროცედურების მარტივი და უფრო მოქნილი სისტემის შექმნა.

პროექტით ცვლილება შედის რეგლამენტის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, ხოლო თუ ფრაქციები არ არის შექმნილი – ერთპიროვნულად, უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.

პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცალკე თავებად ყალიბდება რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირება.

პროექტით შემოთავაზებული რი ცვლილებები ითვალისწინებს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დაზუსტებას.

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამატებითი სახსრების ხარჯვას.

რეგლამენტის პროექტის ავტორი და ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.